



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

20 მაისი - 10 ივლისი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ა/ო „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ახორციელებს მედიამონიტორინგის საქმიანობას ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და აფასებს 7 ბეჭდურ გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო;
- საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 7 გამოცემიდან 4-ში ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას;
- მხოლოდ ერთ გამოცემაში („ქრონიკა +“) ღიად შეინიშნებოდა ერთი მხრივ, უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა

ივანიშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, დადებითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ;

- ორ გამოცემაში („ალია“ და „ასავალ-დასავალი“) გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. ამ გამოცემებში დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა;
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები შეგვხვდა გამოცემებში „ალია“, „ქრონიკა +“ და „ასავალ-დასავალი“;
- ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები სისტემატურად გვხვდებოდა გამოცემაში „ასავალ-დასავალი“;

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტთა გაშუქების ანალიზს)

## „რეზონანსი“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსი“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები გამოცემაში არ გამოვლენილა.


„რეზონანსში“ ყველაზე აქტიურად მთავრობის (22%) საქმიანობა გაშუქდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება ერგო სუბიექტებს „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ (20%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (13%), „თავისუფალი დემოკრატები“ (6%) და „რესპუბლიკური პარტია“ (4%). აღსანიშნავია, რომ დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები არცერთი პოლიტიკური პარტიის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (27%) გაშუქებისას.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსში“ არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

### სუბიექტების გაშუქება "რეზონანსში"

ტონის მიხედვით (%)

(20 მაისი - 10 ივლისი, 2016)



## „ალია“


*მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიაში“ შეინიშნებოდა უაღრესად კრიტიკული განწყობა როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. გამოცემაში ხშირად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. „ალიას“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (17%), ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი (16%), მთავრობა (15%) და პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (14%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (71%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (52%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (49%), ადგილობრივი თვითმმართველობების (46%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (46%) და საქართველოს პრემიერ-მინისტრის (40%) გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ „ალიაში“ დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ნეიტრალური ტონის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ (99%), ბლოკი „ირმინაშვილი - გაერთიანებული ოპოზიციის“ (99%), „გირჩის“ (99%), „რესპუბლიკური პარტიის“ (96%) და პარტიის „ერთიანი საქართველოსთვის“ (95%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიას“ ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას პოლიტიკოსთა გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ მმართველი პარტიისა და საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ ტერმინებს „ნაცები“ და „მეოცნებეები“. ასევე, „ალიაში“ არაერთხელ შეგვხვდა ინფორმაციის საეჭვო წყაროზე დაყრდნობით მომზადებული საკმაოდ ვრცელი სტატიები (მაგალითად, სტატიაში: „ამიტომაც შემოთვალა „მიშა ოდესელმა“: ძველი სახეები არ დამანახოთ, მეზიზღებიან, ეგ ნაგვები, და ვინც დახვევას აპირებს, დაახვიოსო...“, 20-24/მაისი/2016, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალიაში“ ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა როგორც მმართველი გუნდის, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. გამოცემაში ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და

ეთიკის ნორმები. „ალიას“ ჟურნალისტები არ ერიდებიან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას პოლიტიკოსთა გაშუქებისას.




### „კვირის პალიტრა“

*მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრაში“ არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა გამოცემაში შედარებით ჭარბობს უარყოფითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები გამოცემაში არ დაფიქსირებულა.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (22%) საქმიანობა გაშუქდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ (21%), პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (9%) და „თავისუფალ დემოკრატებს“ (8%) დაეთმო. უარყოფი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა „რესპუბლიკური პარტიის“ (64%), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (58%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (45%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (37%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (5%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ, თუმცა გამოცემაში ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „რესპუბლიკური პარტიისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა.



### „ასავალ-დასავალი“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიისა“ და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ. გამოცემაში სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. „ასავალ-დასავალი“ გამოირჩევა ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირით.


„ასავალ-დასავალში“ ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (23%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (14%), „კოალიცია ქართული ოცნების“ (12%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (8%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (77%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (75%), პარლამენტის თავმჯდომარისა (60%) და „რესპუბლიკური პარტიის“ (60%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ერგო პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“

(47%), „კოალიცია ქართულ ოცნებას“ (43%), საქართველოს პრეზიდენტსა (42%) და მთავრობას (42%). დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (7%), ადგილობრივი თვითმმართველობების (7%) და პარტიების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (6%) და „ერთიანი საქართველოსთვის“ (5%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან უკიდურესად მძიმე შეურაცხყოფის შემცველი ფრაზების გამოყენება სხვადასხვა პოლიტიკოსის გაშუქებისას; მაგალითად: „...ელენე ხოშტარია - ცნობილი „ენჯეომნიცა“, რომელიც ძალიან დიდი ხანია, სააკაშვილის რეჟიმის ლელვის ფოთლად მუშაობს და ჭეშმარიტი ნაციონალის დამახასიათებელი უტიფრობით ცდილობს, „ცოცხების პარტიის“ მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი უბედურებები „გააპრავოს“ („საკაშვილის ლელვის ფოთლები ლელვთახევში შეიკრიბნენ!“, 23-29/მაისი/2016, გვ. 2). შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია ხშირად გვხვდებოდა სტატიების სათაურებშიც; მაგალითად: „პაატასტროფა!“ (იგულისხმება პაატა ბურჭულაძე. 23-29/მაისი/2016, გვ. 15); „ნაციონალური ფაშიზმის ანატომია (იგულისხმება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 30/მაისი-5/ივნისი/2016, გვ.9); „მარგველაშვილი ფანდარასტ!“ (20-26/ივნისი/2016, გვ. 15).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების საკმაოდ უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ უკიდურესად შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას სხვადასხვა პოლიტიკოსის გაშუქებისას.

სუბიექტების გაშუქება "ასავალ-დასავალში"  
 ტონის მიხედვით (%)  
 (20 მაისი - 10 ივლისი, 2016)




„ახალი თაობა“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ახალ თაობაში“ ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„ახალ თაობაში“ ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), მთავრობის (13%), „კიალიცია ქართული ოცნების“ (9%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (9%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (39%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (36%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრს (8%), მთავრობას (8%), „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (7%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (6%) ერგოთ.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალ თაობაში“ შეინიშნება შედარებით უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, შედარებით დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები გამოცემაში არ გამოვლენილა.






## „გურია news“

*მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „გურია news“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გამოცემაში შეინიშნება დადებითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები რეგიონული გამგეობებისა და თვითმმართველობების გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ გამოცემა საკმაოდ აქტიურად აშუქებს ხსენებული სუბიექტების საქმიანობას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები „გურია news“-ში არ გამოვლენილა.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „გურია news“-მა ყველაზე აქტიურად მთავრობის (19%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (18%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (17%) საქმიანობა გააშუქა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება დაეთმო „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (13%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (9%), „კოალიცია ქართულ ოცნებას“ (7%) და პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ (3%). აღსანიშნავია, რომ დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები არცერთი პოლიტიკური პარტიის გაშუქებისას არ დაფიქსირებულა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერგო პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ (22%). ასევე, უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა საქართველოს პრეზიდენტის (23%) გაშუქებისას.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „გურია news“ აქვეყნებდა სხვადასხვა გამოკითხვის შედეგებს (მაგალითად: „უნდა დაბრუნდეს თუ არა ივანიშვილი პოლიტიკაში?“, 6/ივნისი/2016, გვ. 3-5; „შეასრულა თუ არა „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო დაპირებები?“, 20/ივნისი/2016, გვ. 5-7). უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული გამოკითხვების შედეგები გამოცემაში საკმაოდ ობიექტურად და დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გურია news“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გამოცემაში არ გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.



## „ქრონიკა +“

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ქრონიკა +“ საკმაოდ კრიტიკული იყო მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. გაზეთის ჟურნალისტები ხშირ შემთხვევებში ღიად გამოხატავდნენ უარყოფით განწყობას ნახსენები სუბიექტების გაშუქებისას. მეორე მხრივ, გაზეთში ჭარბობს დადებითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. „ქრონიკა +“-ში საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (28%) საქმიანობა გაშუქდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი გაშუქება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (13%), „კოალიცია ქართულ ოცნებას“ (8%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (8%) დაეთმო. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (47%), „ქართული პარტიის“ (47%), პრემიერ-მინისტრის (46%), ადგილობრივი თვითმმართველობების (43%), მთავრობის (41%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (39%) და „კოალიცია ქართული ოცნების“ (31%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი ერგოთ პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ (28%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (18%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (9%) და პრეზიდენტს (9%).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ქრონიკა +“-ში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სახვადასხვა სუბიექტის, განსაკუთრებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემული პერიოდის ყველა ნომერში საკმაოდ ვრცელი სტატიები დაეთმო ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის, იოსებ გოგაშვილის კრიტიკას. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკისას ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტის მხრიდან; მაგალითად, სტატიებში „სოსო მეტსახელად „ანტიკოტა“ (28/მაისი/2016, გვ. 7), „იოსებ, სპეცჯგუფები გადაგიყოლებს შენ“ (5/ივლისი/2016, გვ. 7).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტის მხრიდან ღიად გამოხატული დადებითი განწყობა დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ვაშალომიძის გაშუქებისას. სტატიაში „ბათუმში სკამები ამოიზნიქება, ანუ მიშას ტესტი N1“ (5/ივლისი/2016 გვ.15) ჟურნალისტი წერს: „მათ ფონზე ლევან ვაშალომიძე მართლაც საკმაოდ აკადემიურად და თავდაჯერებულად გამოიყურება, ამომრჩეველს კი, როგორც ჩანს, ჩაზნექილი სკამები კი არა, ხელისუფლებაში სწორედ ასეთი - თავდაჯერებული და შენების შემძლე ადამიანები მოენატრა“.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქრონიკა +“-ში ცხადად შეინიშნება ერთი მხრივ უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, დადებითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. „ქრონიკა +“-ში ხშირად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის

ნორმების დარღვევის შემთხვევები. გაზეთის ჟურნალისტები არ ერიდებიან პოლიტიკოსთა გაშუქებისას შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას.

**სუბიექტების გაშუქება "ქრონიკა+"-ში  
ტონის მიხედვით (%)  
(20 მაისი - 10 ივლისი, 2016)**



**დასკვნა**

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში შერჩეული გამოცემები ყველაზე აქტიურად მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობას აშუქებდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულად ინტენსიური გაშუქება არცერთ გამოცემაში არ გამოვლენილა. მონიტორინგისთვის შერჩეული 7 მედია საშუალებიდან, 5-ში შეიმჩნეოდა დადებითი თუ უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. სამ გამოცემაში გვხვდება შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ჟურნალისტთა მხრიდან. გვხვდებოდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიებისა და ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის შემთხვევები.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ, ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე პოლიტიკოსთა გაშუქებისას, ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.

## რეკომენდაციები

- პოლიტიკოსებისა თუ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა პრესამ უნდა გააშუქოს ობიექტურად, კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით და არა რედაქციის სიმპათიებისა თუ პოლიტიკური გემოვნების მიხედვით;
- სასურველია, რომ გამოცემებმა ცალკეულ სტატიებში წარმოადგინონ განსხვავებული მოსაზრებები. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მძიმე ბრალდება ისმის ამა თუ იმ პიროვნების მიმართ;
- ჟურნალისტებმა საკუთარი მოსაზრებებისა თუ შეფასებების გაკეთება უნდა მოახერხონ შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე;
- ჟურნალისტის მსჯელობა და დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ინფორმაციის სანდო წყაროს მიერ წარმოდგენილ, ჯეროვნად გადამოწმებულ ფაქტებს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მძიმე ბრალდება ისმის ამა თუ იმ პიროვნების მიმართ;
- დაუშვებელია, რომ მედიასაშუალებამ წინასაარჩევნო პერიოდში ღიად მოუწოდოს მკითხველს, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცეს ხმა არჩევნებზე;
- სასურველია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პრესამ მეტი ყურადღება დაუთმოს პოლიტიკური პარტიების კონკრეტული საარჩევნო პროგრამების გაშუქებასა და ანალიზს.